

დედობის და სტუდენტობის ზღვარზე:
ქართველი სტუდენტი დედების გამოცდილების შესწავლა

სალომე დოჩია

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების შესაბამისად

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე გავაშელიშვილი, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე დოჩია

08.02.2022

აბსტრაქტი

საქართველოში ქალის სოცო-კულტურული სტატუსი იმის მიხედვით ფასდება, არის, თუ არა, ის დედა. ამასთანავე ვხედავთ, რომ იზრდება ქალი სტუდენტების რიცხვი და შრომით საქმიანობაში ჩართული ქალების რაოდენობა. წინამდებარე კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოში მცხოვრები სტუდენტი დედებისთვის ტრადიციული მოლოდინებია და თანამედროვე სტანდარტებიც მნიშვნელოვანია. ერთი მხრივ, ისინი რჩებიან ტრადიციულ პარადიგმაში, რომელიც მათ დედის ამპლუაში მოიაზრებს, მეორე მხრივ, კი ცდილობენ, არ ჩამოშორდნენ სტუდენტურ ცხოვრებას. წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი აჩვენებს, რომ მიუხედავად ამ მცდელობისა, გამოკითხული სტუდენტი დედების ოჯახებში როლები დღემდე ძირითადად ტრადიციული ღირებულებათა სისტემის მიხედვით არის გადანაწილებული: ისინი არიან დედები, დიასახლისები და მხოლოდ ამის შემდეგ - სტუდენტები. რთული ემოციური მდგომარეობისა და დაღლილობის ფონზე, სტერეოტიპებით სავსე რეალობაში ისინი აგრძელებენ კარიერულ კიბეზე აღმასვლას, თუმცა ნებისმიერი წინააღმდეგობა, რომელიც პრიორიტეტების გადანაწილების საჭიროებას ქმნის, სტუდენტ დედებს კვლავ იმავე სისტემაში აბრუნებს, სადაც ისინი პირველ რიგში დედები, შემდეგ დიასახლისები, სულ ბოლოს კი სტუდენტები არიან. ქალების მიერ სწავლასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების და პრიორიტეტების ასახსნელად ვიყენებ ტერმინს „ინტენსიური დედობა“, რომელიც კარნახობს დედას, რომ მისი უპირველესი მოვალეობა ბავშვზე ზრუნვა და მისი კეთილდღეობის უზრუნველყოფაა (Bubeck 1995). ზემოთხსენებულ საკითხებზე ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების, ფოკუს ჯგუფებისა და სტუდენტ დედებზე განხორციელებული დაკვირვების საფუძველზე ვიმსჯელებ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ინტენსიური დედობა, ქართველი ქალი, სტუდენტი დედა, განათლება, ოჯახი, როლების გადანაწილება, ცხოვრებისეული გამოცდილება

Abstract

The sociocultural status of a woman in Georgia is assessed according to whether is she a mother or not. At the same time, we see an increase in the numbers of female students and women involved in labor activities. The present study shows that both traditional expectations and modern standards are equally important for student mothers living in Georgia. On the one hand, they remain in the traditional paradigm that assumes them in the role of mother but on the other hand, they try not to miss out on student life. The master thesis shows that despite this attempt the roles of student mothers in families are still largely assigned according to the traditional value system: they are mothers, housewives and only then - students. In the face of a difficult emotional state and fatigue, in a stereotypical reality they continue to climb the career ladder, but any resistance that creates the need to shift priorities puts student mothers back in the same system where they are first mothers, then housewives, and only after that- students. I use the term "intensive motherhood" to describe the decisions made and the priorities set by women regarding learning, which dictates that the mother's primary responsibility is to care for the child and to ensure his or her well-being (Bubeck 1995). I will discuss the above issues based on in-depth interviews, focus groups, and observations made on student mothers.

Keywords: Intensive Motherhood, Georgian Woman, Student Mother, Education, Family, Role Sharing, Life Experience

მადლობა

ელენე გავაშელიშვილს, ხელმძღვანელობისთვის, მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისათვის და მუდმივი მხარდაჭერისთვის, რომელსაც მორალურადაც მუდამ მაგრძნობინებდა. რესპონდენტებს, რომლებმაც არ დაიზარეს თავიანთი რთული გრაფიკის მიუხედავად ჩაერთვნენ კვლევაში და დამეხმარნენ ინფორმაციის მოპოვებაში. ყველა იმ ადამიანს, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში მამხნევებდა და მგულშემატკივრობდა.